

განსაწმენდელის როლი დასავლური კულტურის ჩამოყალიბებაში (XII-XIV  
საუკუნეების კონტექსტი)

დიმიტრი ხახიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები(ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების  
ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

*“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”*

დიმიტრი ხახიშვილი

20.06.2021

## აბსტრაქტი

ევროპული ცივილიზაცია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და შესაბამისად მასზე მრავალმა ფაქტორმა იქონია გავლენა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ პერიოდს, რომელმაც განსაზღვრა დასავლური კულტურა, წარმოადგენს დასავლეთის შუა საუკუნეების ცივილიზაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია XII-XIII საუკუნეების პერიოდი, როცა ევროპა განიცდის აღმავლობას, როგორც ეკონომიკურად, ასევე კულტურულად. ამ პერიოდში, რომელსაც „მშენიერი ევროპის“ პერიოდსაც უწოდებენ, ინტენსიურად შემოდის განსაწმენდელის ფენომენი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამყაროს ქრისტიანული აღქმის მოდელზე. შესაბამისად ეს გავლენა ვრცელდებოდა დასავლეთ საქრისტიანოზე, რამაც საბოლოოდ ევროპული კულტურის ჩამოყალიბებაში თავისი შტრიხი შეიტანა. შესაბამისად, ეს კვლევა ეხება განსაწმენდელის როლის განსაზღვრას ევროპის იდეის, დასავლური კულტურის ფორმირებაში, რაც შეიძლება გამოიხატოს, ჰუმანიზმის, ტოლერანტობის და სეკულარიზმის შემოსვლით. ამ იდეების ფორმირება ხდებოდა როგორც საიქიოზე, ასევე საიქიოს ნაწილის, განსაწმენდელზე, რეფლექსიით. მეორეს მხრივ, ნაშრომში იქნება განხილული განსაწმენდელის გენეზისთან დაკავშირებული ალტერნატიული მოსაზრებები, სადაც განსაწმენდელის სხვადასხვა როლზე შეიძლება საუბარი.

შუა საუკუნეებში განსაწმენდელზე რეფლექსიას ახდენდნენ სქოლასტები, ასევე მქადაგებლები, რომლებიც ეგზეგეზაში (საქადაგო სიტყვაში) გადმოსცემდნენ ხალხისთვის განსაწმენდელის დანიშნულებას. ამასთან ერთად განსაწმენდელის ფორმირებაში ვიზიონერული ლიტერატურის (შუა საუკუნეობრივი ჟანრი „ხილვა“) და დანტეს როლიც მნიშვნელოვანია.

შესაბამისად ამ ნაშრომის მიგნებები დაეფუძნა სხვადასხვა ტიპის წყაროთა შესწავლასა და ანალიზს (საქადაგო სიტყვა, ხილვა იქნება ეს თუ თეოლოგიური ტრაქტატი). ამასთანავე მხედველობაში მიიღება განსაწმენდელის და საიქიოს შესახებ არსებული სამეცნიერო კვლევები. ასევე არსებულ კვლევათა დასკვნები გადაიხილება

სხვა კვლევით ფოკუსში, კერძოდ იმ ფოკუსში, რომლითაც განსაწმენდელის გენეზისის ასპექტები არ განიხილებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში. საბოლოოდ, საიქიოსთან ერთად, გამოიკვეთება განსაწმენდელის მნიშვნელობაც დასავლური აზროვნების ჩამოყალიბებაში.

საძიებო სიტყვები: დასავლური კულტურა, დასავლეთის შუა საუკუნეების ცივილიზაცია, განსაწმენდელი, „მშვენიერი ევროპა“, საიქიო, სქოლასტები, დანტე, ეგზემპლა, ვიზიონერული ლიტერატურა